

**საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრის  
ბრძანება №1-1/591  
2011 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო  
ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების,  
ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და  
გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების  
დამტკიცების შესახებ**

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,  
**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები“.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლი 15 აპრილიდან.

*ვ. ქობალია*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს  
მიერ გაწეული მომსახურების სახეები, ვადები, საფასურის განაკვეთები, ასევე საფასურის  
გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების (შემდგომ – წესი) მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მიერ გაწეული მომსახურების სამართლებრივი მოწესრიგების, სახმელეთო ტრანსპორტის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, მომსახურების მაღალი ხარისხის, გადამზიდველთა და მომხმარებელთა უფლებების (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) დაცვის ფინანსური უზრუნველყოფა.

2. ეს წესი განსაზღვრავს სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეობებს, საფასურების განაკვეთებს, მათი გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს.

## მუხლი 2. წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა** – დადგენილი წესის მიხედვით გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობას სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან;

ბ) **ECMT-ს სერტიფიკატი** – დადგენილი წესის მიხედვით გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სატვირთო ავტომობილის ან/და მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) ტექნიკური მდგომარეობის შესატყვისობას ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის/საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის (ECMT/ITF) (შემდგომ – ECMT) მოთხოვნებთან;

გ) **მომსახურება** – სატრანსპორტო პროცესების შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით სააგენტოზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ქმედების განხორციელების უფლების მინიჭებასთან, სატრანსპორტო უსაფრთხოების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემასთან, მათ აღრიცხვა-რეგისტრაციასთან და გამოყენების მონიტორინგთან, აგრეთვე სატრანსპორტო პროცესებში მონაწილე სუბიექტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და/ან მინიჭება/აღიარებასთან, რომლის გაწვევისათვის დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაუხადოს სააგენტოს საფასური;

გ.ა) **საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო რეგულარული გადაყვანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურება** - მოიცავს სააგენტოს მიერ მთავრობათაშორისი შეთანხმებებით განსაზღვრული დოკუმენტაციის (მომძრაობის განრიგი, ტარიფი, გაჩერების პუნქტები და სქემა) განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მათი დამოწმების, ქართველი გადამზიდველის სახელზე სანებართვო დოკუმენტაციის გაცემის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადების და ხელშემკვრელი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის გადაგზავნის, საპასუხოდ მისგან მიღებული ქართველი გადამზიდველის სახელზე მომზადებული სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისი გადამზიდველისთვის გადაცემის პროცედურებს, ასევე აღნიშნული საქმიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ მომსახურებას ნებართვის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. (16.07.2014 N 1-1/195)

დ) **საფასური** – „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი, სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის მის ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა;

ე) **დაჩქარებული მომსახურება** – დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაზე უფრო შემჭიდროებულ დროში;

ვ) **ტესტირების ცენტრი** – საწარმო, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობას და აკრედიტებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც მოცემულია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონებში.

### **მუხლი 3. სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების სახეები, საფასურის განაკვეთები და მომსახურების ვადები**

1. მომსახურების სახეები და საფასურის განაკვეთებია: (30.11.2011 N 1-1/2512)

ა) განსაზღვრულ ქვეყანაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო ერთჯერადი სატვირთო გადაზიდვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – დადებითი გადაწყვეტილების 1 სამუშაო დღეში გაფორმებისას – 100 ლარი, 1 სამუშაო დღეზე მეტ ვადაში გაფორმებისას – 70 ლარი;

ბ) განსაზღვრულ ქვეყანაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო მრავალჯერადი სატვირთო გადაზიდვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – მომსახურების ვადის ყოველ კალენდარულ თვეზე – 70 ლარი;

გ) ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის ECMT კვოტების სისტემაში განსახორციელებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის:

გ.ა) იმ ქვეყნებში, რომლებისთვისაც არ არის დაწესებული კვოტების შეზღუდვები – კვოტის მოქმედების ვადის ყოველ კალენდარულ თვეზე – 70 ლარი;

გ.ბ) იმ ქვეყანაში, რომლისთვისაც დაწესებულია კვოტების შეზღუდვა – ამ მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაკვეთზე დამატებით 35 ლარი კვოტის მოქმედების ვადის ყოველ კალენდარულ თვეზე;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო მრავალჯერადი სამგზავრო გადაყვანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის:

დ.ა) საქართველოს საზღვრიდან 100 კმ-მდე სიგრძის თითოეულ მარშრუტზე – 400 ლარი;

დ.ბ) საქართველოს საზღვრიდან 100-დან 1000 კმ-მდე სიგრძის თითოეულ მარშრუტზე – 2000 ლარი;

დ.გ) საქართველოს საზღვრიდან 1000 კმ-ზე მეტი სიგრძის თითოეულ მარშრუტზე – 3000 ლარი;

ე) საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო ერთჯერადი სამგზავრო გადაყვანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – თითოეულ ქვეყანაზე 70 ლარი.

ვ) საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტის ზევით) ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დაჩქარებული მომსახურებისათვის – 1 სამუშაო დღეში გაცემისას – 20 ლარი;

ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის მრავალჯერადი ნებართვის გაცემა – 10 ლარი; (12.11.2018 N 1-1/511)

თ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის მრავალჯერადი ნებართვის გაცემა – 10 ლარი; (12.11.2018 N 1-1/511)

ი) სატვირთო ავტომობილის და მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) გზისთვის ვარგისობის ტესტის ECMT-ს სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – 60 ლარი;

კ) სატვირთო ავტომობილის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის ECMT -ს სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – 200 ლარი;

ლ) მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის ECMT -ს სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – 100 ლარი;

მ) ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშის ბლანკების დამზადებასა და ტესტირების ცენტრებისათვის გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის –1 ცალზე – 2.0 ლარი;

მ<sup>1</sup>) ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული აირბალონიანი მოწყობილობის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის ფირნიშის ბლანკების დამზადებასა და დადგენილი წესით აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოებისათვის გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის –1 ცალზე – 2.0 ლარი; (10.08.2015 N1-1/344)

ნ) განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – 70 ლარი;

ო) სანებართვო მოწმობის დუბლიკატების გაცემასთან დაკავშირებული დაჩქარებული მომსახურებისათვის – 1 სამუშაო დღეში გაცემისას – 10 ლარი;

პ) დაშვების მოწმობის და სერტიფიკატის დუბლიკატების გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის – 10 ლარი.

ჟ) ციფრული ტაქსოგრაფის ელექტრონული ბარათების დამზადებასა და გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის: (15.11.2013 N 1-1/322)

ჟ.ა) მძღოლის ბარათი - 1 ცალი - 100 ლარი;

ჟ.ბ) მკონტროლებლის ბარათი:

ჟ.ბ.ა) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში პირველი 100 ცალი ბარათი - უფასო;

ჟ.ბ.ბ) ყოველი მომდევნო ბარათი- 1 ცალი - 50 ლარი;

ჟ.გ) სახელოსნოს ბარათი - 1 ცალი -300 ლარი;

ჟ.დ) კომპანიის ბარათი - 1 ცალი - 80 ლარი.

რ) ციფრული ტაქსოგრაფის ელექტრონული ბარათის მისაღებად, ტრენინგების და ტესტირების ორგანიზებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის: (13.01.2016 N 1-1/9)

რ.ა) კომპანიის ბარათი – 200 ლარი;

რ.ბ) მძღოლის ბარათი – 200 ლარი;

რ.გ) განმეორებითი ტესტირება უფასო;

რ.დ) ამოღებულია (16.09.2017 N 1-1/417)

რ<sup>1</sup>) სააგენტოს მიერ გაცემული მძღოლის ციფრული ტრანქოგრავის ბარათის მფლობელ მძღოლს, ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი ვადით ბარათის მისაღებად უფლება აქვს ტრენინგის გარეშე გაიაროს მხოლოდ ერთჯერადი ტესტირება, რომლის ჩაბარების შემთხვევაში გაიცემა მძღოლის ბარათი ამ წესის „ჟ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. ტესტირების ჩაუბარებლობის შემდეგ პრეტენდენტი თავიდან გაივლის ტრენინგს, რისთვისაც თავიდან იხდის მომსახურების საფასურს. (12.11.2018 N 1-1/511)

ს) მენეჯერის პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის (CPC) მისაღებად, ტრენინგების და ტესტირების ორგანიზებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის: (16.09.2017 N 1-1/417)

ს.ა) სააგენტოს თანამშრომლებზე და ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებზე – 30 0 ლარი;

ს.ბ) დანარჩენ მაძიებლებზე – 650 ლარი;

ს.გ) განმეორებითი ტესტირება უფასო;

ტ) მძღოლის პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის (CPC) მისაღებად, ტრენინგების და ტესტირების ორგანიზებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის: (19.03.2018 N 1-1/123)

ტ.ა) მძღოლის ბარათი და პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი 5 წლის ვადით საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში ყველა მძღოლისათვის – 950 ლარი;

ტ.ბ) მძღოლის ბარათი და პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი, შემოკლებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად, 2015 წლამდე გაცემული მართვის მოწმობის მფლობელი მძღოლებისათვის 3 წლის ვადით საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში – 200 ლარი;

ტ.გ) მძღოლის ბარათი და პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი 5 წლის ვადით პერიოდული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში – 500 ლარი;

ტ.დ) განმეორებითი ტესტირება უფასო;

უ) სახიფათო ტვირთების საგზაო გადაზიდვების განსახორციელებლად სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) შესაბამისად მძღოლების სპეციალურ მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის: (16.09.2017 N 1-1/417)

უ.ა) საბაზო მომზადება – 200 ლარი;

უ.ბ) ცისტერნებით გადაზიდვის მომზადების სპეციალიზებული კურსი – 150 ლარი;

უ.გ) პირველი კლასის ნივთიერებათა გადაზიდვის სპეციალიზებული კურსი – 130 ლარი;

უ.დ) განმეორებითი ტესტირება უფასო;

1<sup>1</sup>. ამ მუხლის პირველი პუნქტის „რ“-„უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებებზე ერთი უფასო განმეორებითი ტესტირების ჩაუბარებლობის შემდეგ

პრეტენდენტი თავიდან გაივლის ტრენინგს, რისთვისაც თავიდან იხდის მომსახურების საფასურს. (16.09.2017 N 1-1/417)

2. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადები განისაზღვრება ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით.

3. მომსახურების ვადების ათვლა იწყება მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

#### **მუხლი 4. საფასურის გადახდის წესი**

1. სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული საფასური, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში. (30.11.2011 N 1-1/2512)

2. დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში დაინტერესებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადასახდელთან ერთად დამატებით იხდის დაჩქარებული მომსახურებისათვის დადგენილ შესაბამის საფასურს.

3. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი საფასური გადაიხდება მომსახურების გაწევაზე სააგენტოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ამავე პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით დადგენილი საფასური გადაიხდება, სააგენტოს საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში, ხოლო დანარჩენი მომსახურების სახეებზე საფასური გადაიხდება წინასწარ, მომსახურების გაწევამდე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. (16.09.2017 N 1-1/417)

3<sup>1</sup>. ერთ წელზე მეტი ვადით საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო რეგულარული გადაყვანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის საფასური გადაიხდება ყოველწლიურად, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ოდენობით. (16.07.2014 N 1-1/195)

4. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ნაღდი ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

6. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

#### **მუხლი 5. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი**

1. თუ საფასური გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილ განაკვეთს შორის. საფასურის გადამხდელის მოთხოვნით, სააგენტო უფლებამოსილია ზედმეტად, ან წინასწარ გადახდილი თანხა ჩათვალოს სხვა მომსახურების ანგარიშში. (30.11.2011 N 1-1/2512)

2. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) დაინტერესებული პირი მომსახურების დაწყებამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

გ) სააგენტომ მომსახურება არ განახორციელა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

3. გადახდილი საფასურის ნაწილობრივი ან სრულად დაბრუნება ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში. განცხადება უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მას თან უნდა ერთოდეს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. (16.07.2014 N 1-1/195)

4. თუ მომსახურების გაწევისას სააგენტომ დაუშვა შეცდომა, კერძოდ, დოკუმენტი შედგენილი ან/და გაცემული იქნა არასწორი მონაცემებით, დაინტერესებულ პირს ხელახლა გაეწევა მომსახურება დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი უარს განაცხადებს მომსახურების ხელახლა მიღებაზე, მას უბრუნდება გადახდილი საფასური.

5. საფასურთან დაკავშირებული დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 6. გარდამავალი დებულებები (12.11.2018 N 1-1/511)**

2018 წლის 15 ნოემბრიდან 2019 წლის პირველ მაისამდე ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ს.ბ“ და „ტ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევაზე საფასური არ გადაიხდება.

ბ) „ტ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური განისაზღვროს 400 ლარით.